ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი 2022 წლის ანგარიში

2022 წელს ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. ბაღდათის სახალხო თეატრმა სეზონი ტრადიციულად 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს გახსნა. დასი მაყურებლის წინაშე წარსდგა სპექტაკლის პრემიერით. წარმოდგენილი იყო, აკაკი წერეთლის „ბუტიაობა“ (რეჟ. ავთანდილ სახამბერიძე, მელიტონ ჯაფარიძე). ივლისში, საერთაშორისო ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი 2022“ თეატრმა წარმოადგინა ნიკო ლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „სოფლის აშიკი“ (რეჟ. ზაზა კიკნაველიძე), რომელმაც ჟიურისა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. წარდგენილმა სპექტაკლმა სამ ნომინაციაში გაიმარჯვა. 1. საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი მამაკაცი (გუდუნა სახამბერიძე). 2. საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალი (თეონა ლომსიანიძე)
3. საუკეთესო ეპიზოდური ქალის როლი (ეთერ დევაძე).მთლიანად სპექტაკლს კი, ჟიურის გადაწყვეტილებით, 2023 წლის გაზაფხულზე საზოგადოებრივი მაუწყებელი გადაიღებს და მას ტელეეთერით აჩვენებენ.

სეზონი 7 დეკემბერს ასევე პრემიერით დასრულდა, ამჯერად ნაჩვენები იქნა ცოტნე ჩიქოვანის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „აგიხსნით სიყვარულს“ (რეჟ. გუდუნა სახამბერიძე). დასი ახლაც აგრძელებს მუშაობას, თეატრის მთავარი რეჟისორი ზაზა კიკნაველიძე გაზაფხულზე პრემიერით წარსდგება მაყურებლის წინაშე.

წარმატებული გამოდგა 2022 წელი თოჯინების თეატრისთვის. ნაჩვენები იქნა სამი სპექტაკლი - „ოქროს წიწილა“, „ბატის ჭუკი“ და „ნაბო“. ბავშვებით სავსე დარბაზი და მათი ემოციები ნათელი დასტურია თოჯინების თეატრის ნაყოფიერი მუშაობის. მეტიც, დეკემბერში ბაღდათის თოჯინების თეატრმა მონაწილეობა მიიღო ბაკურიანში გამართულ „თოჯინური თეატრების ფესტივალში“, წარადგინა სპექტაკლი „ნაბო“ ,რომელმაც ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა და პრიზებით ხელდამშვენებული დაბრუნდა. გაიმარჯვა 3 ნომინაციაში :1. საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი -(ნანა ოქროიან) 2.საუკეთესო მსახიობი ქალი (ბელა დათიაშვილი. 3. საუკეთესო მსახიობი მამაკაცი (გიორგი ჭაფოძე).

ჩვეენს ქალაქში განსაკუთრებულად იგრძნობოდა საახალწლო განწყობა , 9 იანვარს მოეწყობა საშობაო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები.ღონისძებაში მონაწილეობდა ჯგუფი „ფრანი“, „ბანი“, ადგილობრივი შემსრულებლები,საბავშვო - მუსიკალური თეატრი და ფოკლორული ჯგუფები.

აპრილში ,კულტურის ცენტრში ჩატარდა საქველმოქმედო საღამო უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად (მოეწყობა მწერალ ცირა ყურაშვილისა და ნინო ჩეხოშვილის საბავშვო ზღაპრების წიგნისა და ნუგზარ ერგემლიძის მოთხრობების წიგნის "მოამინეს" წარდგენა. ასევე ზღაპრების წიგნის ილუსტრაციების გამოფენა. გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება , საბავშვო მუსიკალური თეატრმა “ ირიდამ“ წარმოადგინა კომპოზიცია „ჯვარი გწერია ჩემო საქართველო“-, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა შოუ-კონცერტით „მხიარული კარუსელი“, 10 ივლის გაიმართა კომპოზიტორ ლაღიძის საიუბილეო კონცერტები, რომლებშიც ცენტრის მომღერალთა ანსამბლებმა,

ახალშექმნილმა დუეტმა, ტრიომ და ვაჟთა კვარტეტმა მიიღეს მონაწილეობა. საღამოზე მისულს ტუმრებს საშუალება ჰქონდათ კომპოზიტორის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალასაც გაცნობოდნენ.
ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ბაღდათობა 2022“. ქორეოგრაფიული ანსამბლი „საირმეს “ საიუბილეო საღამო.
22 დეკემბერს ქალაქის მთავარი ნაძვის ხე საზეიმო ვითარებაში აინთო და ჩატარდა წლის შემაჯამებელი ღონისძიება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბაღდათის“ წარმატება. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის “ეროვნული ფესტივალი 2022”-ის დასკვნით კონცერტში, რომელიც თბილისში, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართა, ანსამბლმა „ბაღდათმა“ ცეკვა „ყაზბეგური“ აჩვენა და ფესტივალის გამარჯვებული გახდა. დეკემბერში კი,მცხეთაში,გაიმართა სიმღერისა და ცეკვის ფესტივალი “იმედი ერისა”, ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი “როდოპოლისი” ცოცხალი ბენდის თანხლებით წარსდგა მაყურებლისა და ჟიურის წინაშე და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ქ.ზესტაფონში,გაიმართა ვარინკა წერეთლის სახელობის ლირიული სიმღერის ტრადიციული ფესტივალი "სულიკო 2022”. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ახლადშექმნილმა დუეტმა(თეონა ლომსიანიძე- ლევან ჟვანია) რომლებმაც აღაფრთოვანა მსმენელი, ჟიური და დამსახურებული წარმატება მოიპოვა. მათ წილად ხვდათ ფესტივალის საპატიო მესამე ადგილი.

ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წლის განმავლობაში გაიმართა როგორც გამოჩენილი მწერლების და პოეტების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები,ასევე შემეცნებით-გასართოები ხასიათის ღონისძიებები:(დედაენის დღე, აკ. წერეთლის 182 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება ,,მგალობელი ბულბული“,პაოლო იაშვილი128(ფილმის ,,პაოლო“-ს ჩვენება), ლიტერატურული ვიქტორინა, აგვისტოს ომთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმის ,,შინდისის გმირების“ ჩვენება, მურმან ლებანიძის 100 წლის იუბილე, ყოველწლიური ტრადიციული ღონისძიება „სტუმრად ბიბლიოთეკაში(1 საჯარო სკოლის პირველ კლასელთა მონაწილეობით). ჩატარდა ქუჩის გამოკითხვა,თუ რომელი წიგნის ხილვას ისურვებდნენ ბიბლითეკაში. მოეწყო შუქრი ნაკაშიძის წიგნის ,,ღირსეული ბაღდათლების“ პრეზენტაცია.ასევე საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ვესტუმრეთ სოფლის ბიბლიოთეკებს.

აქტიურ რეჟიმში მუშაობდა ბაღდათის ინოვაციის ცენტრიც, ჩატარდა არაერთი საინტერესო ტრენინგი. მოზარდებმა გაიარეს გრაფიკული დიზაინის კურსი(ტრენერი მერაბ ნერგაძე), შეისწავლეს ლეგო რობოტები(რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების, ტექნიკის, ინჟინერიის, ხელოვნების და მათემატიკის (STEAM) უნარების განვითარებას ადრეული ასაკიდან). პერიოდულად ჩატარდა ვიკიპედიისა და ახალგაზრდული ტექნოლოგიების კლუბების შეხვედრები, ასევე ინოვაციების ცენტრში გაიმართა LegoSumo Robotics ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ბაღდათის და ხარაგაულის ინოვაციების ცენტრების მოსწავლეებმა და ახალგაზრდული კლუბების ქსელის მსმენელებმა.
ბაღდათის ინოვაციების ცეტრის ორგანიზებით მოეწყო ETBSC საზაფხულო დღის ბანაკი. ბანაკის წევრები ჩართული იყვნენ ინგლისურ ენოვან საინტერესო, სახალისო ჯგუფურ აქტივობებში,რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ერთ გუნდად შეკვრას, მათ პიროვნულ

ზრდას, ინგლისური ენის სალაპარაკო უნარებისა და ტექნიკური უნარების განვითარებას Little Bits და Lego რობოტების გამოყენების საშუალებით.

2022 წელს გამოვიდა გაზეთის 9 ნომერი. გავაშუქეთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში თუ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მკითხველს პერიოდულად ვთავაზობთ ახალ რუბრიკებს:"იმოგზაურე ბაღდათში", „ნიჭიერი თაობა", სიკეთე გადამდებია, „ღვინის გზა", „ანა-რეკლი".
გაზეთთან ერთად გვაქვს ოფიციალური FACEBOOK გვერდი - ბაღდათის საინფორმაციო ცენტრი, სადაც ყოველდღიურად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები.
მერიასთან ერთად განვახორციელეთ ფოტოკონკურსი „აღბეჭდე ბაღდათი შენს ობიექტივში". ასევე მოვაწყვეთ საქველმოქმედო აქცია. შევარჩიეთ ოჯახები და გადავეცით შეგროვებული პროდუქტები(ტანსაცმელი, ტექნიკა, საოჯახო ნივთები და სხვა). სულ დავეხმარეთ 5 ოჯახს.
მიმდინარე წელს ვგეგმავთ გაზეთში ახალი რუბრიკების დამატებას და მკითხველისთვის საინტერესო თემების გაშუქებას.
წლის მანძილზე ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი მოინახულა 1531 დამთვალიერებელმა. 15 აპრილს, ჩატარებული იქნა პოეტის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება,18 მაისს აღინიშნა მუზეუმის საერთაშორისო დღე „ ღამე მუზეუმში " ხოლო 19 ივლისს მაიაკოვსკის დაბადებიდან 129 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.
აღსანიშნავია,,რომ გასული წელი ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის გამორჩეული წელი იყო. მაისის თვეში ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით მუზეუმი გადავიდა ვარციხეში, ევროკავშირის დაფინანსებით აღდგენილ შენობაში. აქ დამთვალიერებლებისთვის მომზადდა ორი საგამოფენო სივრცე: პირველში განთავსდა ბაღდათის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები, სხვადასხვა სახის ექსპონატები, ალბომები და ფოტომასალა, სულ ათასამდე ეგზემპლარი, ხოლო მეორე საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია პროფესიონალ მხატვართა 60-მდე ნამუშევარი. ვუმასპინძლეთ ვარციხის, წითელხევის,წყალთაშუის საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს.
მუზეუმს გამოფენისთვის თავისი ფოტო ნამუშევრები გადმოსცა ფოტოხელოვანმა იმედა ბაღდაძემ. ვიმუშავეთ საარქივო მასალებზე. ანა ფხალაძის დახმარებით შევკრიბეთ გაზეთ ,,წითელ დროშაში" გამოქვეყნებული ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან დაკავშირებული თითქმის ყველა მასალა.

30 ოქტომბერს, მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო სახალხო დღესასწაულში „ბაღდათობა 2022" და მოაწყო საინტერესო და ესთეტური იმპროვიზებული კუთხე დიდებისა და პატარა დამთვალიერებლებისთვის. მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლის ზურაბ თოლორდავას ხელმძღვანელობით დაიწყო კურორტ ზეკარის შესახებ ფილმის გადაღება, რაც უახლოეს მომავალში დასრულდება.